

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №329
2024 წლის 1 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და VII⁶ კარის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის VII⁷ კარი:

„კარი VII⁷“

მუხლი 111¹⁵. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 146-ე ნაწილით გათვალისწინებული გადასახადებისაგან/გადასახდელებისაგან გათავისუფლების წესი და პირობები

1. ამ კარის მიზნებისთვის, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნად განიხილება „შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნების ჩამონათვალის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის №615 დადგენილებით დამტკიცებული ჩამონათვალით გათვალისწინებული ქვეყნები (მათ შორის, ქვეყნები, რომლებიც შეღავათიანი დაბეგვრის მქონედ განიხილებიან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98² მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად).

2. შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს ყველა აქტივზე (მათ შორის, წილზე/აქციაზე) საკუთრების უფლების საქართველოს საწარმოსთვის გადაცემის შემთხვევაში აქტივის/საქონლის საქართველოში შემოტანა/იმპორტი თავისუფლდება იმპორტის გადასახდელისაგან, თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

ა) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს საკუთრებაში არსებული ყველა აქტივის/საქონლის საკუთრების უფლებით საქართველოს საწარმოსათვის გადაცემა და იმპორტი განხორციელებულია 2028 წლის 1 იანვრამდე;

ბ) ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებულ უცხოურ საწარმოსა და საქართველოს საწარმოში წილის/აქციების 100 პროცენტს ერთი და იგივე ფიზიკური პირი ან ფიზიკურ პირთა ჯგუფი ფლობს;

გ) ფიზიკური პირი (ფიზიკურ პირთა ჯგუფი) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებულ უცხოურ საწარმოში წილის/აქციების 100 პროცენტს ფლობს 2024 წლის 5 ივნისის მდგომარეობით;

დ) ფიზიკური პირი (ფიზიკურ პირთა ჯგუფი) საქართველოს საწარმოში წილის/აქციების 100 პროცენტს ფლობს აქტივის/საქონლის საკუთრების უფლებით საქართველოს საწარმოსათვის გადაცემის და იმპორტის მომენტისთვის.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული აქტივის/საქონლის საქართველოში შემოტანისას, იმპორტის გადასახდელისაგან გათავისუფლების მიზნით, ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, საქართველოს საწარმოსთვის საკუთრების უფლებით გადაცემული აქტივის/საქონლის იმპორტის განმახორციელებელი პირი (საქართველოს საწარმო) იმპორტის



თითოეულ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს მიმართავს განცხადებით (დანართი №VII⁷-01), რომელსაც უნდა ერთოდეს:

ა) უცხოურ საწარმოსა და საქართველოს საწარმოში წილის/აქციის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

ბ) ყველა აქტივის/საქონლის (მათ შორის, წილის/აქციის) 2024 წლის 5 ივნისამდე საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი;

გ) ყველა აქტივის/საქონლის (მათ შორის, წილის/აქციის) საკუთრების უფლებით საქართველოს საწარმოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის ან/და კაპიტალში შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. საგადასახადო ორგანო, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას განიხილავს რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. იმ შემთხვევაში, თუ განცხადება აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს, საგადასახადო ორგანო გამოსცემს ბრძანებას „საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 146-ე ნაწილის საფუძველზე აქტივის/საქონლის იმპორტის გადასახდელისგან გათავისუფლების თაობაზე“, რომელიც უნდა მოიცავდეს იმ აქტივის/საქონლის დასახელებასა და ღირებულებას, რომელზეც გავრცელდება შეღავათი.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებაში ხარვეზის არსებობის ან/და დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის საჭიროების შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად ან/და ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 15 სამუშაო დღეს. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება ხარვეზის აღმოფხვრისთვის განსაზღვრული ვადით.

6. თუ განცხადება არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს, განმცხადებელმა საგადასახადო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ აღმოფხვრა ხარვეზი ან არ წარმოადგინა დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, საგადასახადო ორგანო გამოსცემს ბრძანებას „საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 146-ე ნაწილის საფუძველზე აქტივის/საქონლის იმპორტის გადასახდელისგან გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ“.

7. თუ საგადასახადო შემოწმების ფარგლებში გამოვლინდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 146-ე ნაწილით დადგენილი შეღავათის გამოყენების წინაპირობების დარღვევის ფაქტი, შეღავათის მიმღებ პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 146-ე ნაწილის მიზნებისთვის:

ა) ფიზიკური პირის (ფიზიკურ პირთა ჯგუფის) მიერ შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს წილის/აქციების ფლობად განიხილება ფიზიკური პირის (ფიზიკურ პირთა ჯგუფის) მიერ წილის/აქციების როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი (მათ შორის, მინდობილი საკუთრების ან ტრასტის ბენეფიციარის ფორმით) ფლობა;

ბ) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს ყველა აქტივზე (მათ შორის, წილზე/აქციაზე) საკუთრების უფლების საქართველოს საწარმოსთვის გადაცემად განიხილება;

ბ.ა) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს მიერ საქართველოს საწარმოსთვის ყველა აქტივზე (მათ შორის, წილზე/აქციაზე) საკუთრების უფლების უსასყიდლოდ გადაცემა;

ბ.ბ) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს მიერ ყველა აქტივზე (მათ შორის, წილზე/აქციაზე) საკუთრების უფლების ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირზე გადაცემა (მათ შორის, უსასყიდლოდ, დივიდენდის განაწილების ან სხვა ფორმით) და ამავე პირის მიერ მიღებული ყველა აქტივის საქართველოს საწარმოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა ან/და საქართველოს საწარმოს კაპიტალში შეჭანა;



გ) ამ პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

გ.ა) საქართველოს საწარმოს კაპიტალში შენატანის განხორციელებისას კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება გადაცემული ყველა აქტივის იმ ღირებულებით, რა ღირებულებაც ამ აქტივებს შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოსთვის გააჩნდა მათი გადაცემის მომენტისთვის;

გ.ბ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98² მუხლის მიზნებისათვის საქართველოს საწარმოსთვის აქციის/წილის ან/და სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი მოთხოვნის საკუთრების უფლებით გადაცემა არ განიხილება საქართველოს საწარმოს მიერ აქციის/წილის შეძენად ან/და სესხის გაცემად;

დ) ყველა აქტივი გულისხმობს 2024 წლის 5 ივნისის მდგომარეობით შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს საკუთრებაში არსებულ იმ ყველა აქტივს/საქონელს, რომელიც მას საკუთრებაში გააჩნია გადაცემის მომენტისათვის.

9. საგადასახადო ორგანო ინფორმაციას პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 146-ე ნაწილით გათვალისწინებული ოპერაციის განხორციელების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, უგზავნის სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, აღნიშნული ოპერაციის განხორციელების ფაქტის დაფიქსირებიდან/გამოვლენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

დანართი №VII⁷-01

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება)

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

განცხადება

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 146-ე ნაწილით გათვალისწინებული აქტივის/საქონლის საქართველოში შემოტანისას/იმპორტისას იმპორტის გადასახდელისგან გათავისუფლების თაობაზე

გაცნობებთ, რომ ვახორციელებ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 146-ე ნაწილით გათვალისწინებული აქტივის/საქონლის საქართველოში შემოტანას/იმპორტს.

წარმოგიდგენთ ინფორმაციას შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს ყველა აქტივზე (მათ შორის, წილზე/აქციაზე) საკუთრების უფლების საქართველოს საწარმოსთვის გადაცემის თაობაზე:



1	
---	--

(შელავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნის დასახელება)

2	
---	--

(უცხოური საწარმოს დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი)

3	
---	--

(საქართველოს საწარმოს დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი)

4	
---	--

(უცხოური საწარმოსა და საქართველოს საწარმოს დამფუძნებელი პირის (პირთა ჯგუფის) საიდენტიფიკაციო მონაცემები)

5		
---	--	--

(უცხოურ საწარმოსა და საქართველოს საწარმოში დამფუძნებელი პირის (პირთა ჯგუფის) წილის ოდენობა)

№	აქტივის/საქონლის დასახელება	სეს ესნ კოდი	ღირებულება

(იმ აქტივის/საქონლის ჩამონათვალი, რომელიც უცხოური საწარმოს საკუთრებაშია 2024 წლის 5 ივნისამდე და რომელიც საკუთრების უფლებით გადაეცა საქართველოს საწარმოს;სეს ესნ კოდი; ღირებულება)

გთხოვთ, მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 146-ე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, იმპორტის გადასახდელისგან გათავისუფლების თაობაზე.

დანართი:

ა) უცხოური საწარმოსა და საქართველოს საწარმოში წილის/აქციის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები;



ბ) ყველა აქტივის/საქონლის (მათ შორის, წილზე/აქციაზე) 2024 წლის 5 ივნისამდე საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი;

გ) ყველა აქტივის/საქონლის (მათ შორის, წილზე/აქციაზე) საკუთრების უფლებით საქართველოს საწარმოსათვის გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი (ხელშეკრულება).

(განმცხადებლის ხელმოწერა)

(თარიღი) “.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

